ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 35

ქალაქი ქუთაისი 26 ნოემბერი 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია
„ხალხის ძალის“ დაფუძნების ცნობად მიღების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30-ე მუხლის 1-ელი, მე-3-მე-6 პუნქტების, 38-ე მუხლის, 165[1] მუხლის „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის 35-ე მუხლის 1-ელი, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-8-13 პუნქტებისა და 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალა“ ამ დროიდან რეგისტრირებულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალა“ შედგება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან (3 წევრი):

1. გიორგაძე აკაკი
2. გიორგაძე მიხეილი
3. სინაურიძე მამუკა

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარედ არჩეულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, აკაკი გიორგაძე, რომლის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის ოდენობით;

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, მამუკა სინაურიძე, რომლის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის ოდენობით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიჭინაია

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
გას. № 35
„26“ ---11---2025 წ.